



უნმინდესი პატრიარქის კირილეს სამძიმარი თურქეთსა და სირიაში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრასთან დაკავშირებით



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უნმინდესმა პატრიარქმა კირილემ მწუხარება გამოთქვა 2023 წლის 6 თებერვალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში მომხდარ ძლიერ მიწისძვრასთან დაკავშირებით. სტიქიის შედეგად ორი ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა, დაახლოებით 10 ათასი დაშავდა, ასობით სახლი დაინგრა. მიწისძვრის შედეგად ყველაზე მეტად თურქეთისა და სირიის რეგიონები დაზარალდნენ.

მის აღმატებულებას ბატონ რეჯევ თაიფ ერდოღანს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებაჲ, ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

გულის ტკივილით შევიტყვე თურქეთში მომხდარი მიწისძვრის საშინელი შედეგების შესახებ. სტიქიის მსხვერპლი ასობით ადამიანი გახდა, ათასობით ადამიანი დაზარალდა და საცხოვრებელი დაკარგა.

მთელი თურქი ხალხისთვის ამ სამწუხარო ჟამს, გთხოვთ, გადასცეთ ჩემი გულწრფელი თანაგრძნობა და თანადგომა დალუპულთა ოჯახებსა და ახლობლებს, ასევე – მალე გამოჯანმრთელების სურვილი დაშავებულებს.

ვლოცულობ მონყალე ღეთის მიმართ, რათა გააძლიეროს მაშველთა, სამედიცინო მუშაკთა და ყველა მზრუნველი ადამიანის ძალები, რომლებიც ტრაგედიის ადგილზე თავიანთ მსახურებას ასრულებენ.

ღრმა მწუხარებით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

მისი აღმატებულებას ბატონ ბაშარ აღ-ასადს, სირიის არაბული რესპუბლიკის პრეზიდენტს

თქვენო აღმატებულებავ, ძვირფასო ბატონო პრეზიდენტო!

ღრმა მწუხარებით შევიტყვე ჩრდილოეთ სირიაში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ, რომელმაც ასობით ადამიანი იმსხვერპლა და დააზიანა.

გულთან ახლოს მიგვაქვს რა მომხდარი ტრაგედია და ვიზიარებთ ამ ტკივილს მოძმე სირიელ ხალხთან ერთად, გთხოვთ, გადასცეთ ნუგეშისა და თანადგომის სიტყვები ყველას, ვინც დაკარგა ნათესავები და ახლობლები, ვინც დაზიანდა და დასახიჩრდა, ვინც განიცდის დაკარგულების ხვედრს.

ვლოცულობ, რომ უფალმა გააძლიეროს ექიმები და მაშველები, რომლებიც თავდაუზოგავად მუშაობენ სტიქიური უბედურების ადგილზე, დაე, მიჰმადლოს უფალმა სწრაფი განკურნება დაშავებულებს და გაჟკაცობა ყველას, ვისაც შეეხო ეს საშინელი უბედურება.

გულწრფელი თანაგრძნობით,

+ კირილე,

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი

მის უნეტარესობას, უნეტარეს იოანე X-ს, დიდი ანტიოქიის და სრულიად აღმოსავლეთის
პატრიარქს

თქვენო უნეტარესობავ, უფლისმიერ საყვარელო ძმაო და თანამსახურო!

რმა მწუხარებით შევიტყვე სირიასა და თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შესახებ, რომლის შედეგადაც ასობით ადამიანი დაიღუპა და დაშავდა, დაინგრა მრავალი შენობა, მათ შორის ქრისტიანული ტაძრები.

გამოვთქვამ გულწრფელ თანაგრძნობას თქვენდამი და ანტიოქიის მართლმადიდებელი ეკლესიის შვილებისადმი, ასევე მთელი სირიელი ხალხისადმი თავსმონეულ განსაცდელთან დაკავშირებით.

უფალმა იესო ქრისტემ, რომელიც თავად არის წყარო თანაგრძნობისა და უფსკრული ნყალობისა (აღდგომიდან მე-4 კვირის ხუთშაბათის მწუხრის დასდებელი), დაე, განუსვენოს ამ საშინელ ტრაგედიაში გარდაცვლილთა სულები, წრაფი განკურნება მიჰმადლოს დაშავებულებს და ანუგემოს მგლოვარენი.

ღრმა მწუხარებით,

+ კირილე,

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/90025/>